თბილისის რეპრეზენტაცია აკა მორჩილაძის რომანებში

იზა ქარქუსაშვილი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იზა ქარქუსაშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხი: კვლევის მთავარი ამოცანაა სივრცის თეორიების საფუძველზე შესწავლილ იქნეს აკა მორჩილაძის შემოქმედებაში წარმოდგენილი სივრცითი მოდელები, რათა გამოვლინდეს ის თავისებურებები, რომლებიც იკვეთება თბილისის რეპრეზენტაციისას ისტორიული კონტექსტების/თემატიკის ცვლილებების შესაბამისად. ასევე, კვლევის მთავარი საკითხია წარმოადგინოს რამდენად ემთხვევა მწერლის წარმოსახვითი ქალაქი რეალურად არსებულ გეოგრაფიულ სივრცეებს. **მეთოდოლოგია:** საკვლევ ტექსტებში დიაგრამირების მეთოდით წარმოდგენილია სივრცითი ერთეულები, რომლებიც კლასიფიცირებულია ფიზიკურ, გეოგრაფიულ, წარმოსახვით და ისტორიული ტიპის სივრცეებად. რეპრეზენტაციის მოდელის ველში სახელდებულია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, რომლის გასწვრივაც იდენტიფიცირებული ემოცია, რომელიც დაკავშირებულია სივრცით განზომილებასთან. **თეორიული საფუძვლები:** სტენფორდის პროექტის, რომელმაც სცადა ლონდონის ემოციური გეოგრაფიული რუკის შექმნა, ანალოგიით იქმნება არსებული კვლევა, რადგან გულისხმობს ემოციების მარკირების მეთოდს. **შედეგები და დასკვნები:** კვლევის ფარგლებში გამოვლინდა თბილისის აქტუალური ადგილები, რომლებიც მოინიშნა ემოციური ნიშნით. აღნიშნულ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აკა მორჩილაძის შემოქმედებაში ძველი თბილისი, როგორიც მე-19 საუკუნეში არსებობდა, არის რომანტიზირების საფუძველი. თბილისის აბანო, ოპერა, ძველი თბილისის უბნები, ორთაჭალის ბაღები, კუნძულები, რომლებიც წყლის ქვეშ მოექცა და ტკივილის მიზეზად იქცა, რადგან ქალაქმა პირვანდელი იერსახე და თვითმყოფადობა დაკარგა, რომელიც სხვა ქალაქებისაგან გამოარჩევდა. **კვლევის მნიშვნელობა:** კვლევა მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ სივრცეზე არსებული თეორიებიდან არის შესწავლილა საკვლევი ტექსტები, შესაბამისად, არსებულმა კვლევის შედეგებმა გამოავლინა თბილისის აქტუალური სივრცეები, რომლებიც მოინიშნა ემოციური მარკერებით, რამაც დაგვანახა ზოგადი სურათი, თუ რა ემოციითა დატვირთული ქალაქის სივრცეები გასაბჭოებიდან და გასაბჭოების შემდგომ ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, სივრცის მოდელები, მოდერნიზმი, ქართული ლიტერატურა, აკა მორჩილაძე.

Abstract

Research topic: the main task of the research paper is to study the models space presented in the literary texts of Aka Morchiladze based on the theories of space.the main issue of the research is to present how the imaginary city of the writer matches the actual geographical spaces. **Methodology**: In the research texts, the spatial units classified into physical, geographical, imaginary and historical types of spaces are presented by diagramming method. **Theoretical foundations**: The current study is analogous to the Stanford project that attempted to create an emotional geographic map of London, as it involves a method of labeling emotions**. Results and conclusions**: within the scope of the research, actual places of Tbilisi were identified, which were marked with an emotional sign. as a result of the mentioned research, it was revealed that in the works of Aka Morchiladze, old Tbilisi, as it existed in the 19th century, is the basis of romanticization. Tbilisi bath, opera, old Tbilisi districts, Ortachali gardens, islands that fell under water and became a cause of pain, because the city lost its original appearance and identity, which distinguished it from other cities. **Significance of the research**: the research is important because the research texts were studied from the existing theories on space, therefore, the results of the existing research revealed the actual spaces of Tbilisi, which were marked with emotional markers, which gave us a general picture of the emotions of the city spaces in the Soviet and post-Soviet literature.

Key words: Tbilisi, models of space, modernism, Georgian literature, Aka Morchiladze.